№913 2015 წლის 6 მაისი ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება, ქ. თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015-ის“ ფარგლებში, სხვადასხვა სპორტულ ობიექტებთან ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების, ასფალტის საფარისა და გაზმომარაგების გარე ქსელის მოწყობასთან დაკავშირებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, 10 000 000,0 (ათი მილიონი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**